# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(323) 2024 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 1 ლარი

## არჩევნები-2024

## ქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნები

**პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებით 26 ოქტომბრის არჩევნები გადამწყვეტი იყო:**

***„– ეს იყო ჩვენი გადამწყვეტი არჩევნები, სადაც წყდებოდა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების ბედი. საბოლოოდ, ქართველმა ხალხმა გააკეთა ერთადერთი ულტერნატივო არჩევანი. აირჩია მშვიდობა და ქვეყნის განვითარება, აირჩია ქვეყნის ნათელი მომავალი. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს, ამომრჩეველს, ქართულ საზოგადოებას იმისთვის, რომ მთელიი ამ წლების განმავლობაში ქართველი ხალხი ჩვენს გვერდით იდგა ყველაზე რთულ წუთებშიც. მოგეხსენებათ, არჩევნები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მომენტი ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვან წუთებშიც ქართველი ხალხი დადგა ჩვენს გვერდით და ერთადერთი ულტერნატივო არჩევანი გააკეთა“.***

**2024** წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობისა და ემიგრაციაში მყოფთათვის ყველანაირი პირობა იყო შექმნილი არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის. სულ გახსნილი იყო 3111 საარჩევნო უბანი. აღსანიშნავია, რომ 42 ქვეყნის 52 ქალაქში 67 საარჩევნო უბანი იღებდა ხმის მისაცემად საქართველოდან ემიგრაციაში მყოფ მოქალაქეებს.

წინასწარი მონაცემებით არჩევნების შედეგები ასეთია:

***№ 41. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 1120016 (53.932 %)ხმა).***
***№ 4. კოალიცია „ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ 229160 ხმა (11.035 %)***
***№ 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 211216 ხმა (10.171 %)***
***№ 9. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ (178.795 ხმა) – 8,752%;***
***№25. პარტია „გახარია საქართველოსთვის“ – 161518 ხმა (7.777%)***
№3 „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ 3892 ხმა (0.187 %)
№ 6 „ევროპელი დემოკრატები“ 7955 ხმა (0.383 %)
№ 8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 50599 ხმა (2.436 %)
№ 10 საქართველოს ლეიბორისტული პარტია 15103 ხმა (0.727 %)
№12 „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ 1845 ხმა (0.089 %)
№ 16 „შეცვალე საქართველო“ 12528 ხმა (0.603 %)
№ 17 „საქართველო“ 2780 ხმა (0.134 %)
№ 20 თავისუფალი საქართველო 4145 ხმა (0.2 %)
№ 21 ტრიბუნა 2483 ხმა (0.12 %)
№23 „ჩვენ“ 2593 ხმა (0.125 %)
№26 „მემარცხენე ალიანსი“ 1260 ხმა (0.061 %)
№27 ქართველ ერთობა 4500 ხმა (0.217 %)
№36 „გირჩი“ 62223 ხმა (2.996 %)

*საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებში №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში შედეგები იხილეთ მე-2 გვერდზე*

## მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა გრძელდება

***საქართველოს პრემიერ-მინისტრის* ირაკლი კობახიძის** გადაწყვეტილებით: მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი.




## დემოკრატიის გაძლიერებისათვის ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის ჩართულობისათვის



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი კახეთის რეგიონში პროექტის -”დემოკრატია იწყება სკოლაში” პირველი ფაზის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების გაცნობა იყო. პროექტის ერთ-ერთი საპილოტე სკოლა გახლავთ ქ. საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა, რომელიც პროექტის გუნდის მიერ შეფასების ვიზიტისათვის იქნა შერჩეული.

ვიზიტის ფარგლებში, “დემოკრატია იწყება სკოლაში” საანგარიშო-შემოქმედებითი ღონისძიება გაიმართა, სადაც მცირე საგრანტო პროექტით ნიუ ვიჟენ- უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი “მომავლის ბაღი” -სა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ჩართულობით განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია მოეწყო.

შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა და ახალგაზრდებმა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებზე ისაუბრეს, სტუმრებმა მოისმინეს სასკოლო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი საპრეზენტაციო მოხსენებები.

პროექტის მიზანია, საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, რაც შესაძლებელი გახდება სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და პრაქტიკის გზით.

***შეხვედრის დასრულებისას სტუმრებს ავთანდილ გულიკაშვილმა სიმბოლური საჩუქრები გადასცა და გამოხატული ინტერესისთვის მადლობა გადაუხადა.***

## შეხვედრა მეგა პროექტის მონაწილეებთან

**საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი** მეგა პროექტ „ნიჭიერის“-ა და „ქავერ შოუს“ მონაწილეებს - ნინი ორკოშნელსა და გიორგი ლაფაჩიშვილს შეხვდა, მიღწეული წარმატებისთვის მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.



***„მინდა მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი ეტაპი და მიღწევა. მიხარია და ამაყი ვარ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ორ მეგა პროექტში ჩვენი წარმომადგენელი გვყავს. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი ფასდაუდებელ წვლილს შეიტანთ კულტურის განვითარების საქმეში და თქვენს გამოცდილებას მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას მოახმართ.***

***მადლობა მინდა გადავუხადო პედაგოგებსა და მშობლებს, რადგან მათი წვლილი დიდია თქვენს წარმატებაში.***

***ეს მიღწევა თავისთავად განაპირობებს თქვენს შესაძლებლობებს. ამიტომ, მიზნისკენ სწრაფვის ტემპი არ უნდა შეანელოთ და უფრო მეტი მწვერვალები დაიპყროთ“-*** აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ქეთი ბრატიაშვილი,
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი*

# საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები

## 26 ოქტომბერი 2024 წელი

### №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნების შედეგების

# წინასწარი მონაცემები

| უბანი | 3 | 4 | 5 | 6 | 8 | 9 | 10 | 12 | 16 | 17 | 20 | 21 | 23 | 25 | 26 | 27 | 36 | 41 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.11.01 | 1 (0.088%) | 90 (7.923%) | 110 (9.683%) | 2 (0.176%) | 26 (2.289%) | 84 (7.394%) | 11 (0.968%) | 1 (0.088%) | 12 (1.056%) | 4 (0.352%) | 4 (0.352%) | 1 (0.088%) | 0 (0%) | 60 (5.282%) | 0 (0%) | 3 (0.264%) | 25 (2.201%) | 702 61.796% |
| 00.11.02 | 1 (0.226%) | 28 (6.335%) | 36 (8.145%) | 5 (1.131%) | 10 (2.262%) | 53 11.991% | 1 (0.226%) | 0 (0%) | 3 (0.679%) | 0 (0%) | 1 (0.226%) | 0 (0%) | 0 (0%) | 30 (6.787%) | 0 (0%) | 1 (0.226%) | 7 (1.584%) | 266 60.181% |
| 00.11.03 | 2 (0.141%) | 110 (7.779%) | 101 (7.143%) | 13 (0.919%) | 47 (3.324%) | 136 (9.618%) | 16 (1.132%) | 3 (0.212%) | 8 (0.566%) | 1 (0.071%) | 2 (0.141%) | 3 (0.212%) | 1 (0.071%) | 85 (6.011%) | 0 (0%) | 3 (0.212%) | 33 (2.334%) | 850 60.113% |
| 00.11.04 | 0 (0%) | 64 (5.797%) | 68 (6.159%) | 4 (0.362%) | 50 (4.529%) | 109 (9.873%) | 15 (1.359%) | 3 (0.272%) | 7 (0.634%) | 2 (0.181%) | 4 (0.362%) | 2 (0.181%) | 0 (0%) | 67 (6.069%) | 0 (0%) | 4 (0.362%) | 39 (3.533%) | 666 60.326% |
| 00.11.05 | 1 (0.121%) | 39 (4.722%) | 79 (9.564%) | 2 (0.242%) | 23 (2.785%) | 70 (8.475%) | 11 (1.332%) | 1 (0.121%) | 4 (0.484%) | 1 (0.121%) | 2 (0.242%) | 1 (0.121%) | 0 (0%) | 71 (8.596%) | 0 (0%) | 2 (0.242%) | 25 (3.027%) | 494 59.806% |
| 00.11.06 | 2 (0.203%) | 80 (8.13%) | 145 14.736% | 11 (1.118%) | 36 (3.659%) | 110 11.179% | 12 (1.22%) | 1 (0.102%) | 15 (1.524%) | 2 (0.203%) | 3 (0.305%) | 1 (0.102%) | 1 (0.102%) | 65 (6.606%) | 0 (0%) | 0 (0%) | 14 (1.423%) | 486 49.39% |
| 00.11.07 | 0 (0%) | 22 (4.255%) | 47 (9.091%) | 1 (0.193%) | 21 (4.062%) | 39 (7.544%) | 5 (0.967%) | 0 (0%) | 9 (1.741%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.193%) | 0 (0%) | 9 (1.741%) | 0 (0%) | 0 (0%) | 7 (1.354%) | 356 68.859% |
| 00.11.08 | 1 (0.433%) | 14 (6.061%) | 24 (10.39%) | 0 (0%) | 16 (6.926%) | 14 (6.061%) | 2 (0.866%) | 0 (0%) | 1 (0.433%) | 0 (0%) | 2 (0.866%) | 0 (0%) | 0 (0%) | 8 (3.463%) | 0 (0%) | 0 (0%) | 2 (0.866%) | 147 63.636% |
| 00.11.09 | 1 (0.263%) | 32 (8.421%) | 39 10.263% | 2 (0.526%) | 10 (2.632%) | 50 13.158% | 6 (1.579%) | 0 (0%) | 4 (1.053%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 21 (5.526%) | 1 (0.263%) | 2 (0.526%) | 10 (2.632%) | 202 53.158% |
| 00.11.10 | 3 (0.419%) | 45 (6.285%) | 82 11.453% | 3 (0.419%) | 51 (7.123%) | 78 10.894% | 9 (1.257%) | 1 (0.14%) | 12 (1.676%) | 2 (0.279%) | 1 (0.14%) | 0 (0%) | 2 (0.279%) | 66 (9.218%) | 0 (0%) | 0 (0%) | 20 (2.793%) | 341 47.626% |
| 00.11.11 | 1 (0.075%) | 51 (3.8%) | 85 6.334% | 4 (0.298%) | 57 (4.247%) | 88 (6.557%) | 13 (0.969%) | 1 (0.075%) | 10 (0.745%) | 1 (0.075%) | 1 (0.075%) | 0 (0%) | 4 (0.298%) | 98 (7.303%) | 0 (0%) | 3 (0.224%) | 43 (3.204%) | 882 65.723% |
| 00.11.12 | 2 (0.521%) | 31 (8.073%) | 30 (7.813%) | 2 (0.521%) | 13 (3.385%) | 33 (8.594%) | 4 (1.042%) | 1 (0.26%) | 1 (0.26%) | 2 (0.521%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 36 (9.375%) | 2 (0.521%) | 2 (0.521%) | 17 (4.427%) | 208 54.167% |
| 00.11.13 | 2 (0.206%) | 68 (7.003%) | 90 (9.269%) | 5 (0.515%) | 27 (2.781%) | 85 (8.754%) | 8 (0.824%) | 1 (0.103%) | 3 (0.309%) | 1 (0.103%) | 1 (0.103%) | 0 (0%) | 0 (0%) | 67 (6.9%) | 1 (0.103%) | 6 (0.618%) | 20 (2.06%) | 586 60.35% |
| 00.11.14 | 2 (0.133%) | 35 (2.33%) | 157 10.453% | 6 (0.399%) | 34 (2.264%) | 100 (6.658%) | 16 (1.065%) | 1 (0.067%) | 11 (0.732%) | 1 (0.067%) | 3 (0.2%) | 1 (0.067%) | 0 (0%) | 47 (3.129%) | 1 (0.067%) | 2 (0.133%) | 23 (1.531%) | 1062 70.706% |
| 00.11.15 | 0 (0%) | 6 (8%) | 3 (4%) | 0 (0%) | 6 (8%) | 2 (2.667%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 3 (4%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 55 73.333% |
| 00.11.16 | 1 (0.178%) | 26 (4.618%) | 32 (5.684%) | 3 (0.533%) | 13 (2.309%) | 61 10.835% | 2 (0.355%) | 0 (0%) | 6 (1.066%) | 1 (0.178%) | 0 (0%) | 1 (0.178%) | 0 (0%) | 32 (5.684%) | 2 (0.355%) | 4 (0.71%) | 8 (1.421%) | 371 65.897% |
| 00.11.17 | 1 (0.075%) | 59 (4.423%) | 157 11.769% | 3 (0.225%) | 41 (3.073%) | 118 (8.846%) | 16 (1.199%) | 2 (0.15%) | 17 (1.274%) | 0 (0%) | 4 (0.3%) | 2 (0.15%) | 0 (0%) | 82 (6.147%) | 0 (0%) | 2 (0.15%) | 26 (1.949%) | 804 60.27% |
| 00.11.18 | 2 (0.37%) | 17 (3.142%) | 43 (7.948%) | 0 (0%) | 14 (2.588%) | 53 (9.797%) | 2 (0.37%) | 0 (0%) | 1 (0.185%) | 0 (0%) | 1 (0.185%) | 0 (0%) | 0 (0%) | 29 (5.36%) | 2 (0.37%) | 3 (0.555%) | 5 (0.924%) | 369 68.207% |
| 00.11.19 | 0 (0%) | 15 (2.703%) | 28 (5.045%) | 2 (0.36%) | 6 (1.081%) | 43 (7.748%) | 3 (0.541%) | 0 (0%) | 1 (0.18%) | 1 (0.18%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 10 (1.802%) | 1 (0.18%) | 1 (0.18%) | 3 (0.541%) | 441 79.459% |
| 00.11.20 | 2 (0.262%) | 36 (4.712%) | 65 (8.508%) | 4 (0.524%) | 26 (3.403%) | 69 (9.031%) | 4 (0.524%) | 0 (0%) | 4 (0.524%) | 0 (0%) | 3 (0.393%) | 0 (0%) | 0 (0%) | 49 (6.414%) | 0 (0%) | 4 (0.524%) | 5 (0.654%) | 493 64.529% |
| 00.11.21 | 1 (0.134%) | 21 (2.815%) | 56 (7.507%) | 1 (0.134%) | 14 (1.877%) | 39 (5.228%) | 4 (0.536%) | 0 (0%) | 3 (0.402%) | 1 (0.134%) | 2 (0.268%) | 0 (0%) | 0 (0%) | 57 (7.641%) | 1 (0.134%) | 0 (0%) | 10 (1.34%) | 536 (71.85%) |
| 00.11.22 | 0 (0%) | 5 (1.866%) | 11 (4.104%) | 0 (0%) | 6 (2.239%) | 9 (3.358%) | 2 (0.746%) | 0 (0%) | 1 (0.373%) | 0 (0%) | 1 (0.373%) | 0 (0%) | 0 (0%) | 8 (2.985%) | 0 (0%) | 0 (0%) | 3 (1.119%) | 222 82.836% |
| 00.11.23 | 1 (0.166%) | 46 (7.616%) | 43 (7.119%) | 1 (0.166%) | 25 (4.139%) | 48 (7.947%) | 2 (0.331%) | 0 (0%) | 3 (0.497%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 16 (2.649%) | 2 (0.331%) | 1 (0.166%) | 11 (1.821%) | 405 67.053% |
| 00.11.24 | 0 (0%) | 27 (3.017%) | 51 (5.698%) | 0 (0%) | 28 (3.128%) | 55 (6.145%) | 7 (0.782%) | 0 (0%) | 2 (0.223%) | 2 (0.223%) | 4 (0.447%) | 1 (0.112%) | 0 (0%) | 36 (4.022%) | 1 (0.112%) | 3 (0.335%) | 22 (2.458%) | 656 73.296% |
| 00.11.25 | 0 (0%) | 22 (6.286%) | 28 (8%) | 1 (0.286%) | 14 (4%) | 20 (5.714%) | 1 (0.286%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.286%) | 0 (0%) | 19 (5.429%) | 1 (0.286%) | 0 (0%) | 1 (0.286%) | 242 69.143% |
| 00.11.26 | 0 (0%) | 12 (4.096%) | 25 (8.532%) | 1 (0.341%) | 9 (3.072%) | 20 (6.826%) | 1 (0.341%) | 0 (0%) | 1 (0.341%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 10 (3.413%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.341%) | 213 72.696% |
| 00.11.27 | 0 (0%) | 10 (2.227%) | 20 (4.454%) | 1 (0.223%) | 14 (3.118%) | 11 (2.45%) | 1 (0.223%) | 0 (0%) | 5 (1.114%) | 1 (0.223%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 17 (3.786%) | 0 (0%) | 2 (0.445%) | 3 (0.668%) | 364 81.069% |
| 00.11.28 | 0 (0%) | 28 (8.14%) | 90 26.163% | 1 (0.291%) | 2 (0.581%) | 1 (0.291%) | 0 (0%) | 1 (0.291%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.291%) | 2 (0.581%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 218 63.372% |
| 00.11.29 | 0 (0%) | 7 (1.966%) | 98 27.528% | 2 (0.562%) | 1 (0.281%) | 1 (0.281%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 247 69.382% |
| 00.11.30 | 1 (0.219%) | 10 (2.188%) | 84 18.381% | 1 (0.219%) | 1 (0.219%) | 8 (1.751%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.219%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 351 76.805% |
| 00.11.31 | 0 (0%) | 16 (3.596%) | 80 17.978% | 0 (0%) | 1 (0.225%) | 2 (0.449%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 2 (0.449%) | 0 (0%) | 1 (0.225%) | 0 (0%) | 1 (0.225%) | 1 (0.225%) | 0 (0%) | 341 76.629% |
| 00.11.32 | 0 (0%) | 10 (1.828%) | 70 12.797% | 1 (0.183%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.183%) | 1 (0.183%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.183%) | 0 (0%) | 1 (0.183%) | 462 84.461% |
| 00.11.33 | 2 (0.575%) | 10 (2.874%) | 76 21.839% | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.287%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.287%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.287%) | 257 73.851% |
| 00.11.34 | 1 (0.223%) | 9 (2.004%) | 112 24.944% | 0 (0%) | 1 (0.223%) | 27 (6.013%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.223%) | 0 (0%) | 0 (0%) | 2 (0.445%) | 296 65.924% |
| 00.11.35 | 1 (0.209%) | 14 (2.929%) | 100 20.921% | 1 (0.209%) | 0 (0%) | 9 (1.883%) | 4 (0.837%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 2 (0.418%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.209%) | 346 72.385% |
| 00.11.36 | 1 (0.246%) | 7 (1.724%) | 100 24.631% | 0 (0%) | 0 (0%) | 8 (1.97%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.246%) | 0 (0%) | 2 (0.493%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.246%) | 286 70.443% |
| 00.11.37 | 0 (0%) | 8 (2.439%) | 77 23.476% | 1 (0.305%) | 0 (0%) | 1 (0.305%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.305%) | 2 (0.61%) | 1 (0.305%) | 1 (0.305%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 236 71.951% |
| 00.11.38 | 0 (0%) | 14 (3.004%) | 147 31.545% | 0 (0%) | 1 (0.215%) | 2 (0.429%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 2 (0.429%) | 0 (0%) | 2 (0.429%) | 0 (0%) | 2 (0.429%) | 1 (0.215%) | 295 63.305% |
| 00.11.39 | 0 (0%) | 9 (1.84%) | 165 33.742% | 2 (0.409%) | 1 (0.204%) | 2 (0.409%) | 1 (0.204%) | 1 (0.204%) | 0 (0%) | 1 (0.204%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.204%) | 0 (0%) | 0 (0%) | 1 (0.204%) | 2 (0.409%) | 303 61.963% |
| 00.11.40 | 1 (0.244%) | 55 (13.415% | 81 19.756% | 1 (0.244%) | 0 (0%) | 2 (0.488%) | 0 (0%) | 1 (0.244%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 0 (0%) | 269 (65.61%) |
| ***სულ*** | ***34 0.136%*** | ***1208 4.85%*** | ***2935 11.783%*** | ***87 0.349%*** | ***645 2.589%*** | ***1660 6.664%*** | ***179 0.719%*** | ***20 0.08%*** | ***145 0.582%*** | ***26 0.104%*** | ***45 0.181%*** | ***21 0.084*** | ***11 0.044%*** | ***1106 4.44%*** | ***17 0.068%*** | ***52 0.209%*** | ***392 1.574%*** | ***16326 65.543%*** |

# ინფრასტრუქტურა-2024

## სოფელი კაკაბეთი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, პირველ მოადგილესთან ერთად სოფელ კაკაბეთს ესტუმრა და მოსახლეობას არსებულ საჭიროებებზე გაესაუბრა. გარდა ამისა, სოფელში ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების (ახალი სკვერისა და დამაკავშირებელი ხიდის) შესახებ მოსაზრებები მოისმინა. სოფელ კაკაბეთში, პარალელურ რეჟიმში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის სამუშაოები მიმდინარეობს. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კაკაბეთში დაგეგმილი პროექტების შესახებ გააჟღერეს ინფორმაცია, რომ სულ მალე მაღალბიუჯეტიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების პირველი ეტაპი იწყება.





***სოფელ** კაკაბეთში, შიდა საუბნო დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოებისთვის მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო.*

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან - **ემზარი კუჭუაშვილთან,** სოფელ კაკაბეთში მერის წარმომადგენელთან და დეპუტატთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება მიულოცა.

***"მე ამაყი ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში ასეთი მნიშვნელოვანი და მართლაც ისტორიული პროექტები ხორციელდება. ადგილობრივი, ცენტრალური და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტის დაფინანსებით. სხვა დანარჩენ პროექტებთან ერთად, წელს შევძელით და კაკაბეთში ერთ-ერთი მთავარი პრობლემის გადაჭრა დავიწყეთ. აღნიშნული გზის პროექტი გარდამავალია და მისი ჯამური ღირებულება 1 934 467 ლარს შეადგენს, რაც საუბნო ქუჩის, მისი განშტოებებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებს ითვალისწინებს"-*** აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**




## სოფელი ვერხვიანი

**სოფელ** ვერხვიანში, სასაფლაოს გზის მოწყობის დასრულებული სამუშაოები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად ადგილზე მოინახულა.

რკინა-ბეტონის კონსტრუქცია 100 გრძივ მეტრზე მოეწყო, რაც აღნიშნულ მონაკვეთზე მოსახლეობის გადაადგილებას მნიშვნელოვნად გააადვილებს.

ადგილობრივებმა თვითმმართველობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს დანაპირების შესრულებისთვის და პროექტის ვადებში განხორციელებისთვის.





## ქალაქი საგარეჯო
## მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის

**ქ. საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილზე, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მიწისქვეშა გადასასვლელის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.





## სოფელი ხაშმი

**სოფელ** ხაშმში ახალი რეკრეაციული სივრცისა და თანმდევი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

მრავალფუნქციური მოსასვენებელი სკვერი მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა პირველ მოადგილესთან ერთად ადგილზე მოინახულა და დასრულებული პროექტის შესრულების ხარისხის შესახებ ადგილობრივ წარმომადგენლებს რეკომენდაციები გააცნო.





*ქეთი ბრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

## გალამაზდა ქუჩა

**ეს** სურათები ერეკლე მეორეს ქუჩის მე-7 ჩიხშია გადაღებული, სადაც ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა, ძალიან რთული ქუჩაა, ფიზიკურად ვერ მოხერხდა სანიაღვრე არხების ჩაწყობა გასაგები მიზეზების გამო. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამით გადაიჭრა მრავალი წლის მოუგვარებელი პრობლემა. ეს სამუშაოები შესანიშნავად შეასრულა შპს „მშენებელმა" და მისმა სპეციალისტმა კახა ბურდულმა თავის ჯგუფთან ერთად. მადლობა თითოეულ მათგანს ასე გულიანად შესრულებული სამუშაოებისთვის.

ამასთან ***დიდ მადლობას ვუხდით*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ***ბატონ*** **ავთანდილ გულიკაშვილს** ჩვენზე მზრუნველობისა და ამ დიდი პრობლემის მოგვარებისთვის, ყველა სტრუქტურის კარგი მუშაობისთვის, როგორებიცაა წყალკანალის და სოკარის ორგანიზაცია, რომლებიც გამოძახებისთანავე 15-20 წუთში ადგილზე გაჩნდნენ დაზიანებული მილების შესაკეთებლად.

***ერეკლე მეორეს ქუჩის მე-7 შესახვევის მცხოვრებლები***





# მამულიშვილნი

## 8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა!

## ილია ჭავჭავაძე — საქართველოს ყველაზე დიდი რეფორმატორი



**ქვეყანა** ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს" — 1837 წლის 8 ნოემბერს ამ სიტყვების ავტორი, ილია ჭავჭავაძე დაიბადა. ეს სახელი, შესაძლოა, მთელს მსოფლიოში ყველასთვის ნაცნობი არ იყოს, მაგრამ იგი საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას "უგვირგვინო მეფის" სახელით შემორჩა. მის ნააზრევზე, ინტელექტუალურ მემკვიდრეობასა და ქვეყნისთვის გაწეულ სამსახურზე მუდმივად მსჯელობენ და თანხმდებიან, რომ ილია იყო ტრანსფორმაციული ძალა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მოვლენა, რომელმაც ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა მაშინ, როცა რუსული იმპერიის მარწუხები ასე ძლიერი იყო.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ილიას ცხოვრება, მისი წვლილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რათა არასდროს დაგვავიწყდეს, საიდან მოვდივართ და საით უნდა მივდიოდეთ.

### განათლება და ლიტერატურა

**ტრადიციულ** ოჯახში აღზრდილი ილიასთვის ლიტერატურა უცხო არასდროს ყოფილა. ეს იყო ის მისწრაფება, რომელიც მცირე ასაკიდანვე გაუღვივეს მშობლებმა.

"დადაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირადა ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხამდა ბავშვებს და გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენც დიდად ვაფასებდით", — ამბობდა ილია.

განათლების მიღების სურვილით, იგი პეტერბურგში გაემგზავრა და მალევე შემოიკრიბა ქართველი სტუდენტები, რომლებიც ერთმანეთს რეგულარულად ხვდებოდნენ და საქართველოს მომავალს განიხილავდნენ.

"უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. ჩვენ, სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზე. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს," — იხსენებდა კოტე აფხაზი.

ეს სწორედ ის დროა, როცა "თერგდალეულთა" ტრადიციები ჩამოყალიბდა.

სტუდენტობის პერიოდი განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა ილიას შემოქმედებისთვის. ამ ეტაპზე შექმნა მან რეზონანსული ნაწარმოებები, რომლებიც ნაკარნახევი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით და ეხმაურებოდა სოციალურ და ეროვნულ მწვავე პრობლემებს.

### წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

**მწვავე** იყო განათლების პრობლემა მაშინდელ საქართველოში. მას შემდეგ, რაც ბატონყმობა გაუქმდა, თანდათან უფრო მომწიფდა აზრი, რომ განათლება საზოგადოების ყველა ფენას უნდა მიეღო, თანაც — ქართულ ენაზე. ასე გაჩნდა ქართული სკოლების გახსნის იდეა და შეიქმნა ორგანიზაცია "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომლის პირველ თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს, ილია ჭავჭავაძე კი მისი მოადგილე გახდა. 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი საზოგადოებას ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. იგი, ასევე, საზოგადოებას ფინანსურ მხარდაჭერასაც უწევდა თბილისის საადგილმამულო ბანკის მეშვეობით.

სკოლები საქართველოს არაერთ სოფელსა და ქალაქში გაიხსნა, იქმნებოდა წიგნთსაცავები, სახალხო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, სამუზეუმო დაწესებულებები. ამ პროექტისთვის შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის "დედა ენა".

ილია რეფორმატორი იყო. არ ერიდებოდა ცვლილებებს. ასე მოახერხა ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა და ხუთი მოძველებული ასო-ნიშნის ამოღებაც. განსაკუთრებული იყო მისი როლი ეროვნული კონსოლიდაციის საკითხების წამოწევაში, რასაც იგი ჟურნალ-გაზეთების გამოცემითა და პუბლიცისტური წერილების გავრცელებით ახერხებდა.

### საქართველოს მოამბე და ივერია

**საქართველოს** ახალ ისტორიაში პირველ სამოქალაქო გაერთიანებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჟურნალი "საქართველოს მოამბე", რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილიამ გამოსცა. ეს იყო პროექტი, რომლითაც ხალხისთვის გასაგებ ენაზე ავრცელებდა წერილებს, მათ შორის სტატიებს ენათმეცნიერების, ეკონომიკის, პედაგოგიკის და საბუნებისმეტყველო საკითხებზე. საქართველოს მოამბე საეტაპო მოვლენად იქცა ქართული ჟურნალისტიკისთვის.

ამას მოგვიანებით მოჰყვა გაზეთი ივერია. „აქ [საქართველოში] უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედების ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი, — წერდა მის წინასიტყვაობაში ილია.

გაზეთის ფურცლები ეთმობოდა სოციალურ თუ პოლიტიკურ თემებზე შექმნილ პუბლიცისტურ წერილებს, მიმოიხილებოდა ქვეყნის შიდა პროცესები, ასევე, ივერიაში წაიკითხავდით უცხოეთის ამბებს, რითაც საზოგადოება კიდევ უფრო უახლოვდებოდა დასავლეთს. ილია სტუდენტობიდანვე აკვირდებოდა მოვლენებს ევროპაში, მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და წერდა "მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა", შესაბამისად, მან ზუსტად იცოდა, რა უნდა ეთქვა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის თავისი გაზეთების მეშვეობით.

### საადგილმამულო ბანკი

**ნებისმიერი** საქმე, რომელსაც ილია სათავეში ჩაუდგა, საზოგადოებაზე ზრუნვითა და მათი გაძლიერებით იყო ნაკარნახევი. ეს მოახერხა საადგილმამულო ბანკშიც, რომლის თავმჯდომარე იყო იგი 1905 წლამდე.

ბანკის კრებები გამორჩეული და საინტერესო პროცესი იყო ქვეყანაში. ამ კრებებზე წყდებოდა, როგორ დაეხარჯათ საბანკო საქმიანობისგან მიღებული ფული. ილია მიიჩნევდა, რომ ბანკი არა ცალკეული ადამიანების კეთილდღეობისთვის შეიქმნა (და რომ ცალკე პირის ბანკისგან სარგებელი მხოლოდ სესხით შეეძლო მიეღო), არამედ ქვეყნის საერთო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათ დასახმარებლად, ვინც "სიზარმაცის გამო არ ჩავარდნილა სიღარიბეში".

ილიას წვლილი დიდი აღმოჩნდა იმაში, რომ ბანკმა თანხა გაიღო კახეთში რკინიგზის მშენებლობისთვის, დააფინანსა თბილისის ქართული გიმნაზია, სამეურნეო სკოლა, გორის, თბილისის, თელავის ქალთა სასწავლებლები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა. ბანკის მხარდაჭერით აღდგა ქართული თეატრი, დაიწყო ბრძოლა ქოლერის წინააღმდეგ და თანხა გამოიყო შიმშილობის დროს ხალხის დასახმარებლად.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ნამდვილი გამოხატულებაა იმისა, რომ ძლიერი სიტყვა და კულტურა უკვდავია. სწორედ იმ დროს, როცა ქართული იდენტობა რუსული იმპერიის ალყაში იყო მოქცეული, ილია გამოჩნდა იმედად, რომელმაც განათლება, ლიტერატურა და ეროვნული სულისკვეთება ახალ საფეხურზე აიყვანა. მისი წერილები მუდმივად ინარჩუნებს თანამედროვეობას და შთაგონებას იძლევა ახალი მოძრაობებისთვის. ილია ქართული კულტურული რენესანსის სიმბოლოს წარმოადგენს და მისაბაძია ყველასთვის, ვისაც საამაყო მემკვიდრეობის შემონახვა და უკეთესი მომავლის ფორმირება სურს.

## 7 ნოემბერი ერეკლე II-ს დაბადების დღეა!

## ქვეყნის თავდადებული მოამაგე



ოთახი, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე II

**1797 წლიდან** ერეკლე ავადმყოფობდა, მაგრამ თელავიდან ქვეყნის მართვას და აქტიურ საქმიანობას მაინც განაგრძობდა. ფეხები უსივდებოდა, ამბობდნენ წყალმანკი ჰქონდაო. ფეხების შეშუპების მიზეზი, სავარაუდოდ, გულის უკმარისობა იყო. მეფეს, რომელსაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი უნაგირზე ჰქონდა გატარებული, ახლა, ცხენზე ამხედრებას, საწოლში წოლა ერჩივნა. ავადმყოფს ქათმის ბულიონი მიართვეს, მაგრამ არ დალია – მარხვაა და მე რომ მარხვა გავტეხო ხალხი რას იტყვის და თავად როგორ მოიქცევაო.

1798 წლიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. 5 იანვრიდან გაუნძრევლად იწვა საწოლში. 11 იანვარს, გამთენიისას, თელავის სამეფო სასახლეში, ერეკლე იმავე ოთახში გარდაიცვალა, სადაც 78 წლის წინ დაიბადა.

მეფის ცხედარი მართლმადიდებლური წესით გააპატიოსნეს, ორმაგად შეკრულ ხის კუბოში ჩაასვენეს და ყინულები დაულაგეს. კუბო ჯერ სამეფო სასახლის დიდ დარბაზში დადეს, ხოლო 20 დღის შემდეგ კი, სასახლის ახლოს მდებარე, ყორჩიბაშვილების ტაძარში გადაასვენეს.

ყველას აინტერესებდა რამდენი ჭრილობა ჰქონდა სხეულზე ერეკლეს. ის ხომ ბრძოლაში თავდაუზოგავად, პირველი ეკვეთებოდა მტერს, მაგრამ რამდენი და რა სახის ჭრილობა ჰქონდა მეფეს – მათ საიდუმლოდ დარჩა, ვინც გააპატიოსნა მისი ცხედარი. ზოგი ამბობდა, ერეკლეს ტანზე ადგილი არ ჰქონდა ზედ ნაჭრილობევი არ ყოფილიყოო, ზოგი კი სიამაყით აღნიშნავდა – სიჩაუქის, სიმარჯვის, სიძლიერის და კარგი საომარი აღჭურვილობის წყალობით, მეფეს არც ერთი ჭრილობა არ მიუღიაო. ლიტერატურულ წყაროებშიც არ ჩანს რომელიმე ბრძოლაში დაჭრილი ერეკლე.

ქვეყანაში დიდმა გლოვამ დაისადგურა. ერეკლეს გლოვობდა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ქართლ-კახეთში მცხოვრები ყველა ეროვნების, საზოგადოების ყველა ფენის და სარწმუნოების ადამიანი. ისინი თავიანთი პატრონისა და გულშემატკივრის დაკარგვას განიცდიდნენ.

მეფის დაკრძალვის ცერემონიალის პროექტი, რომელიც საკმაოდ ბევრ ღონისძიებას მოიცავდა, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორმა, დავით ალექსი-მესხიშვილმა შეიმუშავა. შეთანხმდნენ, რომ მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში უნდა დაეკრძალათ, მაგრამ ქართლში შავი ჭირის ეპიდემიის გამო, მცხეთაში გადასვლა სიცოცხლისათვის საშიში იყო. დიდხანს ელოდა სამეფო ოჯახი „მომსვრელი სენის" ეპიდემიის მინელებას, მაგრამ ამას ბოლო არ უჩანდა, დრო კი არ ითმენდა. საბოლოოდ გადაწყდა, მეფის ცხედარი, გარდაცვალებიდან მე-40 დღეს მიებარებინათ მიწას.

გამოსვენების დღეს თელავში უამრავი ხალხი შეიკრიბა, მაგრამ იყო თუ არა 20000 შეიარაღებული პირი, მიუხედავად რუსი ისტორიკოსის პ. ბუტკოვის მონათხრობისა, სათუოა. კახეთში ამ დროს, ამ რაოდენობის მეომრის შეკრება შეუძლებელი იყო, ქართლიდან კახეთში გადაადგილება კი ეპიდემიის გავრცელების საშიშროების გამო, კატეგორიულად იყო აკრძალული. პლატონ იოსელიანის ცნობით, ქართლში შავი ჭირის მძვინვარება იყო მიზეზი იმისა, რომ მეფის „დღესასწაულობით" დაკრძალვა ვერ მოხერხდა. რაოდენობრივად შეთხელებული პროცესია თბილისისკენ დაიძრა და მესამე დღეს მოადგნენ თბილისის მიდამოებს.

მეფის ოჯახის წევრებმა და გარემოცვამ, ცხედარი, სავარაუდოდ, გომბორის გზით წამოასვენეს, თბილისში არ შემოვიდნენ, მახათას მთას გვერდი აუარეს და კუბო ავჭალის მიდამოებში სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს, არაგვის ნაპირთან მიიტანეს. მეორე მხრიდან, მცხეთელებმა ფეხით გადმოლახეს არაგვი და მცხეთაში გადაასვენეს მეფის ცხედარი.

სვეტიცხოვლის ეზო და ტაძარი შავი ჭირით დაავადებულებით იყო ავსებული.

დაავადების შიშით, თელავიდან წამოსული ოჯახის წევრებიდან და ჭირისუფლებიდან ვერავინ შეჰყვა მეფის ცხედარს მცხეთაში, გარდა სამეფო კარის მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილისა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების საფასურად, ადგილობრივ ბერებთან ერთად, მეფე ყველა ქრისტიანული წესის დაცვით დაკრძალა და მცირე აღაპიც გადაუხადა.

1798 წლის 21 თებერვალს, სვეტიცხოვლის ტაძარში მიწას მიაბარეს კიდევ ერთი, ღირსეული წარმომადგენელი ბაგრატიონთა გვარისა.

ერეკლე II-მ დიდი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ისტორიაში. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. ხალხმა მას საალერსო სახელი „პატარა კახი" უწოდა. ერეკლე II-ის პიროვნება, მისი საქმეები, ფართოდ აისახა ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

„ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი, თავისი დროის მოწინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო აფორიაქებული ქვეყნისთვის", ასე ახასიათებდნენ ერეკლეს ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია.

„მეფე ერეკლე – ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ნიჭით უხვად დააჯილდოვა ღმერთმა.

ქვეყნის გადარჩენისათვის ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შესაძლებელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა და შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა შედეგი იყო დიდი პოლიტიკისა. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ირან-ოსმალეთრუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. ეს გამარჯვება რუსეთს ერგო წილად.

ერეკლე მეორეს შთამომავლობა პატივს უნდა მიაგებდეს იმის გამო, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, დიდი პოლიტიკისაგან განწირული სამშობლოს გადარჩენას ცდილობდა" – წერს ვახტანგ გურული.

# არჩევნების შედეგები ცნობილია

## „ჩვენ მშვიდობა ავირჩიეთ“...

***საქართველოს** პარლამენტის 2024 წლის არჩევნებს უდიდესი ვნებათაღელვა უძღოდა წინ, თუმცა ორი კვირის შემდეგაც არ განელებულა შთაბეჭდილებები, დასკვნები, შეხედულებები. ისევე, როგორც საქართველო და ემიგრანტთა ნაწილი დაყოფილი იყო სხვადასხვა პარტიების მომხრეებად. ყველა თავის არგუმენტს ასახელებდა, თუ რატომ უჭერდა მხარს კონკრეტულ პარტიას. ვნებათაღელვა არც საგარეჯოს, ჩვენს მუნიციპალიტეტს აკლდა... ჩაიარა არჩევნებმა და დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ კონკრეტულად იმაზე, თუ რატომ მიიღო „ქართულმა ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ ხმების 54,27%. აზრს გვიზიარებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოქალაქეები.*

*– მე მივეცი ხმა მშვიდობას, რათა შავმა ღრუბლებმა არ გადაგვიაროს თავზე, დედებმა რომ არ იტირონ, მშვიდობას მივეცი ხმა.*

*– ხმა მივეცი მშვიდობას, რათა ხალხი უმწეოდ არ დაიხოცოს ომის დროს.*

*– ხმა მივეცი მშვიდობას, რომ პატარები არ დარჩნენ მამების გარეშე, და ოჯახები არ დარჩნენ თავკაცის გარეშე.*

*– ხმა მივეცი მშვიდობას, რათა ჩვენი ქვეყანა უკრაინის დღეში არ ჩავარდეს.*

*– ხმა მივეცი მშვიდობას, დიახ, მშვიდობას, სიცოცხლეს, ხალხი რომ ბედნიერი იყოს.*



**ეს** სიტყვები საქართველოს შვილს – სოფელ თულარის მკვიდრს, 73 წლის პროფესიით პედაგოგს **ალაბალი ხეირხაბაროვს** ეკუთვნის. იგი საქართველოში დაიბადა, ისევე როგორც მამამისი, პაპამისი, დედა, ბებია, მისი დედ-მამიშვილები, მისი შვილები და შვილიშვილები.

ბატონი ალაბალი 20 წლის განმავლობაში სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო, აქედან 10 წელი – იორმუღანლოს მაშინდელ საშუალო სკოლაში და 10 წელი – ლამბალოს საშუალო სკოლის. 1995 წლიდან 2012 წლამდე კი – სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი, პარალელურად ასწავლიდა სკოლაში ქიმიას. 2012 წლიდან კი გარკვეული გარემოებების გამო სკოლიდან საერთოდ წამოვიდა, მაგრამ მის სიტყვას წონა და ფასი მხოლოდ საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ ეროვნებით აზერბაიჯანელებთან კი არა, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების აზერბაიჯანულენოვანი სოფლების მოსახლეობასთან არ დაუკარგავს, პირიქით, ყოველდღიურად უსმენენ მის დარიგებებს, კითხულობენ ლექსებს, ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე შეთხზულ შეგონებებს და უდიდეს პატივს სცემენ. ამჟამად ამ დამსახურებაზე მეტყველებს ისიც, რომ ბატონი ალაბალი ჩვენი ზონის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეა, ეს კი რასაც ნიშნავს, იქ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშიც კი კარგად იციან... იციან, რომ მას ძალიან უყვარს საქართველო და აზერბაიჯანი, პატივს სცეს ქართულ კულტურას, ქართველების ათასწლეულების რელიგიურ რწმენას, ადათ-წესებს, აქტიურად და ფხიზლად ადევნებს თვალყურს თავისი „კარაჩოპის“ მოსახლეობის მაჯისცემას, იცის – ვის როგორ, რამდენად უჭირს და ისიც იცის, თავისი კარაჩოპის მოსახლეობა არასოდეს მიატოვებს გასაჭირსა და ეკონომიურ სიდუხჭირეში თავისი სოფლის თითოეულ მოქალაქეს.... ამისი მაგალითები იყო ყველაზე ბნელ 90-იან წლებშიც და დღესაც ასეა – არავის არ უნდა უჭირდეს, ყველამ მუნდა მონახოს გზა ოჯახის კეთილდღეობისათვის. ყოველთვის ამაყობს თავისი კარაჩოპის შვილების წარმატებებით. დიდი გულმოდგინებით ადევნებს თვალ-ყურს ამ სივრცეში მიმდინარე იმ სასიკეთო პროცესებს, რომლებიც კარაჩოპის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების შემსუბუქებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. აქ ოჯახის თემის მოსახლეობის თითოეულ ოჯახამდე სიკეთედ მიდის საჯარო სკოლებში სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართული სამუშაოები, ამ სასწავლო წელს 160 მეთორმეტეკლასელი დაამთავრებს საჯარო სკოლის სრულ კურსს და მათგან უმეტესობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დასაქმდება, იმ 263 პირველკლასელს კი, რომლებმაც 2024 წლის 16 სექტემბერს პირველად შეხსნეს სკოლის კარები ნორმალური სწავლა-განათლებისთვის საჭირო პირობებიც შეიქმნება. ემაყება, რომ ლამბალოს საჯარო სკოლის შენობა ამიერკავკასიის ზონაში განუმეორებული პროექტითაა აშენებული. ეამაყება ისიც, სულ ახლახანს, დუზაგრამის საბავშვო ბაღის შემდეგ ზონას სექტემბერში შემატებული იორმუღანლოს საბავშვო ბაღის შენობა, აქ აღსაზრდელთა 5 ჯგუფით 160 აღსაზრდელს მზიან, ნათელ, ბედნიერ, საინტერესო დღეებს აჩუქებენ პედაგოგ აღმზრდელები. ზონაში ინფრასტრუქტურული პროექტებიც წარმატებით მიმდინარეობს, დიახ, ყველა ინტერესით ადევნებს თვალყურს ლამბალოში მიმდინარე საბავშვო ბაღის შენობის და იმ ხიდის მშენებლობას, რომელიც აზერბაიჯანულენოვანი 8 სოფლის დამაკავშირებელი ხიდია მუნიციპალიტეტის ცენტრთან და რომლის მშენებლობა-რეაბილიტაციას ათეული წლები ელოდებოდნენ აქაურები, სოფლებში მოიხრეშა ქუჩები, მოასფალტდა ცენტრალური ქუჩა, გაკეთდა ღამის განათებები, ნელ-ნელა გვარდება სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი, ასევე, „დაიძრა“ სავარგულების მოსარწყავად სარწყავი არხის მოწესრიგების საქმეც... თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რისი მოგვარების იმედიც აქვს ბატონ ალაბალის, რადგან იცის, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების მოსაგვარებლად სწორი კურსი აქვს აღებული...

**პავლე ტოკეშაშვილი** – *საგარეჯოელი. მუშაობდა საგარეჯოს ყოფილი კომუნისტური პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, სოფელ ვერხვიანის ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მიღებული აქვს უმაღლესი განათლება: საქართველოს ზოოტექნიკური ინსტიტუტი, დამთავრებული აქვს ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი:*



– არჩევნები შედგა, „ქართულმა ოცნებამ” დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ამომრჩეველმა თავისი საქმე გააკეთა. ახლა საჭიროა ხელისუფლებამ იმოქმედოს კანონმდებლობის მიხედვით და დაიცვას მიღებული შედეგები და ჩვენი ხმები!

ქვეყანაში ბოლო ხანს მიღწეული შედეგები თვალშისაცემია, მაგრამ ხალხი უფრო ახლოს იყურება და დასკვნებიც ყოველდღიური ცხოვრებიდან გამოაქვს. ბევრი რაღაც გვხვდება თვალში როგორც ქალაქში ისე სოფლებშიც, რაც თვალსაც და ყურსაც სიამოვნებს და - პირიქით!. უამრავი რამეა რაც ადგილობრივი, თუნდაც ახალგაზრდების ძალებით, კეთილი ნებით შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ.... გვახსოვს ჩვენს ახალგაზრდობაში რამდენი „შაბათობები” იმართებოდა და საკმაოდ ბევრი საქმეც კეთდებოდა. ახლა?! ახლა მთავრობას, ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ველოდებით, რომ იმათ უნდა გააკეთონ საქმე – ქუჩები და სანიაღვრეები დაგვიგავოს, დაგვისუფთაოს, ვენახებში მისასვლელი გზები მოგვიწესრიგოს, ანდა სარწყავ წყალზე იზრუნოს და ა.შ. ჩვენ?!! ჩვენ მხოლოდ საყოველთაო პროგრამით გაკეთებულით უნდა ვიამაყოთ? ის ხომ ყველგან კეთდება და ზოგან უფრო მეტიც და კარგადაც. სოციალურ სფეროშიცააო უსამართლობებიო, ასე ამბობენ! განათლება, მისი კადრები, კონტიგენტი, სკოლა არ უნდა იყოს პოლიტიკური აზრების გაზხილვის არენა, იქ მხოლოდ ცოდნის შეძენის სურვილით უნდა იყოს ატმოსფერო გაჟღენთილი! და პირველ რიგში პატრიოტული სული უნდა მძლავრობდეს მომავალ თაობაში და არა ძახილი და ძახილი გაუთვითცნობიერებლად – „შინ ევროპაში!” რა ვიცი, ბევრი რაღაცეებია, რომელთაც ყველას ვერ ჩამოთვლი და ზოგსაც ვერ იტყვი! რა ვიცი ბევრი რაღაცეებია რომელთაც ყველას ვერ ჩამოთვლი და ზოგსაც ვერ იტყვი, რაც თავად ჩვენ, საქართველოს შვილებმა უნდა ჩვენი ხელით მოვაგვაროთ, გული უნდა შეგვტკიოდეს გაკეთებულზე, ვუფრთხილდებოდეთ.

რამდენი რამ გაკეთდა – მოასფალტდა ქუჩები, გაკეთდა სანიაღვრე არხები, ღამის განათებები მოეწყო იქ, იქ, სადაც არასოდეს ყოფილა, პლუს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში კეთილმოწყობილია სპორტული მოედნები – ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის, მაგრამ... ვინმე უფრთხილდება გაკეთებულს?! ხანდახან მრჩება შთაბეჭდიულება – ძალით, შეგნებულად ამტვრევენ ტოტებს ცენტრალურ ქუჩაზე აყვავებულ ხეებს, ამტვრევენ სკამებს...

და, რაც მთავარია, ჩვენ ყველამ, ჩემმა თაობამ ვიცით, რასაც ნიშნავს მშვიდობა, რომელიც თითოეულ ადამიანს აძლევს შანსს – იცხოვროს ნორმალურად.

# მართლმადიდებლობა

## 2 ნოემბერი წმინდა მამა გაბრიელის ხსენების დღეა

### ეპიზოდები მამა გაბრიელის ცხოვრებიდან

**(იბეჭდება შემოკლებით)**

*„სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს“*
*(კორინთელთა 1,25)*

**მამა** გაბრიელი დაიბადა 1929 წლის 26 აგვისტოს, თბილისში, თეთრიწყაროს ქუჩის 11 ნომერში, წმიდა ბარბარეს ეკლესიის მახლობლად. ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე იყო. მამა ადრე დაეღუპა და ახლობლები მის სახელს ეძახდნენ. დედა - შემოდგომში მონაზონი ანა, გარდაიცვალა 2000 წლის 26 აპრილს, ვნების კვირაში. დაკრძალულია წმიდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერში. ძმა ადრევე გარდაცვლილა. ჰყავს ორი და. სწავლობდა თბილისის 24-ე ვაჟთა სკოლაში 6 წელი. მეზობელი ჟენია ქობელაშვილი ასე იგონებს მის ბავშვობას: „ერთად დავდიოდით საბავშვო ბაღში, არ მახსოვს მასწავლებელს მისთვის შენიშვნა მიეცა, დაჯდებოდა კუთხეში და ასანთის ღერებით აშენებდა ეკლესიას. მისი ერთადერთი გართობა ეს იყო. რომელი დღეები არ ვიცი, მაგრამ კარგად მახსოვს, ზოგჯერ რძიან ფაფას არ ჭამდა. შიმშილის წლები იყო და ყველას გვიკვირდა უჭმელი როგორ ძლებდა. ისედაც ძალიან ცოტას ჭამდა, მუდმივად ტოვებდა საჭმელს“.

ბავშვობაში მეზობლების ჩხუბს შეესწრო; ერთმა ქალმა უთხრა მეორეს, რა ჯვარზე მაცვი ქრისტესავითო.

გაკვირვებულმა ვასიკომ იკითხა - რატომ აცვეს ქრისტე ჯვარსო? პასუხი ვერავინ გასცა, უთხრეს ეკლესიაში წასულიყო. სამწუხაროდ, ისიც დაკეტილი დახვდა. ყარაულმა ურჩია წაეკითხა ქრისტეს ისტორია. ამის შემდეგ დაიწყო ფულის შეგროვება და ღვთის წყალობით შეიძინა წიგნი, რომლითაც ქრისტეს ცხოვრებას გაეცნო.

ღვთისაგან ბოძებული სულიერება ბავშვობიდანვე უსწრებდა წინ მის ფიზიკურ ზრდას. ამიტომაც საკმაოდ ადრეულ ასაკში გამოეყო ოჯახს, ეზოში თავისი ხელით ააშენა სენაკი ალიზით, ისე პატარა, მხოლოდ თვითონ რომ შეძლებდა დაძინებას და იქ გადავიდა საცხოვრებლად. შიგ სარეცელიც კი არ ედგა. დედას შეეცოდა და მის დაუკითხავად იმ დროს შეიტანა ბალიში, როცა თვითონ სენაკში არ იმყოფებოდა. მოვიდა თუ არა, ბალიში ნაჯახით აკუწა და განრისხებულმა თქვა: „როგორ გაბედე ბერის სენაკში უნებართვოდ შესვლა, უფალი ჩვენი - იესო ქრისტე იმდენად ღარიბი იყო, თავის მისადრეკელიც კი არ

*დასასრული მე-6 გვერდზე*

გარეჯის მაცნე

№21(323) 2024 წელი, 1-15 ნოემბერი

# ჩვენი მომავალი თაობა

## „ობლის კვერი ცხვა, ცხვა“... და ნელ-ნელა ცხვება

## „გოგონა, რომელმაც ეკრანზე ერთი გამოჩენით ყველას თავი დაამახსოვრა“...

**ეს** პატარა, მაგრამ უკვე დიდი გოგო, თავისი სახლის მისასვლელამდე ორღობის გავლისას სიმღერით რომ აცოცხლებს გარემოს, საქართველოს ტელესივრცე, საქართველოს მოსახლეობისა და ქართველი ემიგრანტების გულები ერთი გამოსვლით რომ დაიპყრო, ჩვენი გაზეთის მკითხველებს მეორედ ხვდება გაზეთის ფურცლებიდან. ეს ცქრიალა, თმახუჭუჭა გოგო ნინოწმინდის საჯარო სკოლის მერვეკლასელია – **ნინი ორკოშნელი** – დადინჯებული – თავის ასაკთან შეუფერებლად სერიოზული, მაგრამ ხანდახან აი, ისეთიცაა, კინოფილმ „ჭრიჭინაში“ რომაა მომღერალი გოგონა...




ვუყურებ და ზოგჯერ თვალებში ცრემლები მადგება – რა ადრეულ ასაკში მოუწია მამით ობლობა, იმ მამისა, რომელსაც დღეს ჩვენთან ერთად უნდა ეზეიმა ნინის წარმატებული სვლა და კიდევ და კიდევ მომავალის წარმატებები სცენაზე...

ნინიმ თავისი ასაკისთვის (9 წლის) შეუფერებლად აღიქვა და განიცადა მამის იმიერში გადასვლა, მაგრამ ამ პატარა გოგონამ მალევე იგრძნო, ყველანაირად გაისიგრძეგანა პასუხისმგებლობა დედის წინაშე და დედას „დააკისრა“ – თავისთან ერთად თავისი მომავლის გამოძერწვა-გამოჭედვა... და როგორ?!

როცა ფრანგული სიმღერა დაამუშავა, სკოლის კონცერტზე უნდა ემღერა, მამიკომ ფრანგული სტილით შეკერილი კაბა უყიდა – მოგიხდება-ო, მაგრამ ვეღარ ნახა ნინი ფრანგული კაბითა და ფრანგული სიმღერით... ძალიან მძიმე იყო ნინისთვის თვალცრემლიანი, დაღონებული დედის დანახვა და თავისზე სულ რამდენიმე წლით უფროსი ძმების განცდები. გამოსავალი იპოვა – საბავშვო მიკროფონი დაიჭირა ხელში, ძველი ფარდებით „სცენაც“ მოიწყო და დაიწყო „საშინაო კონცერტების“ ოჯახის წევრებისთვის ჩატარება... და დედას თითქმის „ოფიციალურად მისცა დავალება“ ყოფილიყო მისი ნიჭის რეალიზების ხელშემწყობი. და ***დედაც მარეხ თედიაშვილიც*** იძულებული გახდა ყველანაირად „ხელი შეეწყო კონცერტებისათვის“ და უფროს შვილებთან ერთად სცენაც მოუწყო ნინის და არც აპლოდისმენტებს აკლებდნენ... თანდათან გაიზარდა ნინი, მოემატა სცენაზე დგომის გამოცდილებაც და უფრო დახვეწა რეპერტუარიც – და მეტი ფრანგული სიმღერები შეიტანა მასში...

და აი, გაბედა და ტელეპროქტ „ნიჭიერის“ 2024 წლის სეზონზე თამამი განაცხადი გააკეთა – მონაწილეობის მიღების სურვილი... უზარმაზარ სცენაზე, ყველაზე მკაცრი, მაგრამ ობიექტური ჟიურის წინაშე წარდგა და მამის მონატრებით გულსავსე გოგონა და არც დაბნეულა, ისე ლაკონურად იძლეოდა პასუხს ჟიურის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე. მალე საუბრით და ლექსით დაიპყრო მათი გულები და სიმღერის, ფრანგული სიმღერის შესრულებით აღფრთოვანებული დარბაზი ფეხზე დიდხანს იდგა და უკრავდა ტაშს... იმ კონკურსში ***ნინიმ ჟიურისაგან ოქროს ღილაკი დაიმსახურა***... ეს მართლაც დამსახურებულად იყო, მართლაც ობიექტურმა ჟიურიმ, ობიექტურად შეაფასა ნინის გამოსვლა და ყველა დაგვემოწმება, რომ ნინიმ ოქროს ღილაკი ამიტომაც დაიმსახურა... ნინის ბედნიერი, ნინის მოულოდნელობისგან დაბნეულიი სახე ერთმანეთს ენაცვლებოდა... მაგრამ ნინის არ უნახავს მისი წარმატებით აღფრთოვანებული ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი, კლასის დამრიგებელი, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები, ნინოწმინდა, საგარეჯო და სრულიად კახეთი... თუმცა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი ზეიმობდა იმ დღეს ნინის წარმატებას, ამას ის მესიჯები და კომენტარებიც მოწმობს, რომლებიც იმ დღიდან ნინის ფეისბუქ გვერდსა და საერთოდ სოციალურ ქსელში ჩნდება. ნინის ეხმაურება სხვადასხვა ტელევიზიები, პოეტები, მუსიკოსები, მომღერლები, ემიგრაციაში მყოფები, უბრალო ადამიანები, წარმატებებს უსურვებენ და იმედოვნებენ, რომ ნინი ერთ-ერთი წარმატებული მომღერალი იქნება.



ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორმა, პოეტმა ლია შენგელიძემ გულით, თბილი სიტყვებით მიულოცა ნინის წარმატება, მათემატიკის მასწავლებელმა ნაირა ნარინდოშვილმა კი სოციალურ ქსელში გაბედულად დაწერა: „ჩემს სკოლას საკუთარი ვარსკვლავი ჰყავს, ეს ნინია“..., მართლაც ასეა, ქალთა ვოკალური ანსამბლის „ჩინარის“ სოლისტმა ნინის კლასის დამრიგებელმა მანანა კუმელაშვილმა კი ყველაზე მეტად გაიხარა ნინის წარმატებებით... ამიტომაც იყო, ნინის სკოლა, დირექტორი, პედაგოგები, მოსწავლეები აპლოდისმენტებითა და სიყვარულით დახვდნენ სკოლაში მისულს.

ტელევიზია „რუსთავი-2“-ის პაატა გულიაშვილის იუმორისტულმა ჯგუფმა საოცარი, თბილი დახვედრით გააბედნიერა ნინი. ტელევიზიაში „პოსტალიონი“ მომღერალ და წამყვან ზურა მანჯავიძესთან ერთად სიმღერა „ყველა სნეულებაზე“ წარმატებით შეასრულა და ინტერვიუს დროს არ დავიწყებია ტელევიზიაში დედასთან ერთად ინტერვიუზე მყოფს მადლობა მოეხადა დედისთვის – მხარში დგომისა და დიდი ამაგისთვის. საინტერესო იყო Ajeta TV=-ში ინტერვიუც. როგორ მოიწონა წინა თაობებმა ნინის და მსახიობ ნანული სარაჯიშვილთან ერთად შესრულებული სიმღერა კინოფილმ „მანანადან“. ნინი თითქმის ასლია იმ მანანასი.

ნინის რომ ჰკითხოთ, სამომავლო გეგმებზე, მოკრძალებით, მაგრამ დამაჯერებელი ტონით გეტყვით, რომ: მინდა გავხდე პოპულარული მომღერალი, რომ ჩემმა მამიკომ იმ სამყაროში იამაყოს ჩემით, აქ დედიკო გავახარო და ჩემი ძმები გავახარო ჩემით. ძალიან მიყვარს „ჟურნალისტობა“, მაგრამ ამჯერად მაინც მომღერლობისკენ მიდის ჩემი სამომავლო გეგმები-ო.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში კიდევ ერთი დიდი სიხარული შეემატა მის „დღიურს“ – ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა* ავთანდილ გულიკაშვილმა** მას, როგორც ნიჭიერის“ წარმატებულ მონაწილეს სიგელი და ფულადი ჯილდო – 1000 ლარი გადასცა – ეს კი ძალიან ბევრს ავალებს ნინის, ავალებს უფრო მეტად მოემზადოს, ეცადოს საგარეჯო, კახეთი უფრო მეტად ასახელოს და რაც მთავარია – ცხოვრებაში ყველაზე უღალატო, ერთგული თანამდგომი და ამაგიანი დედა ასახელოს და გაახაროს!

წარმატებები, ნინი!

# მართლმადიდებლობა

## 2 ნოემბერი წმინდა მამა გაბრიელის ხსენების დღეა

### *ეპიზოდები მამა გაბრიელის ცხოვრებიდან*

<u>დასასრული</u>

ჰქონდა“.

მამა გაბრიელმა 12 წლის ასაკში უკვე კარგად იცოდა სახარება. სწორედ ამ დროს მივიდა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში. დედებმა დააპურეს, მაგრამ ღამე არ გაათევინეს. მადლი ღვთისა მასში იმდენად დიდი იყო, სახლში არ წავიდა, ღამე ჭიშკართან გაათია და დილით ღვთისმშობელს სთხოვა: „ამ ქვეყნიდან ისე ნუ გამიყვან, აქ რომ სენაკი არ მომცე“. უსმინა ღმერთმა და სიცოცხლის ბოლო წლები სამთავროს მონასტერში გაატარა. იგი კოშკში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს კურთხევა მან (როგორც თვითონ ამბობდა) ღვთისმშობლისა და ორი პატრიარქისაგან მიიღო.

დედის მუცლიდანვე გამორჩეული ჭურჭელი ღვთისა ეკლესიით საზრდოობდა. როდესაც გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ბათუმში, შევიდა ტაძარში და ნიკოლოზ სასწაულმოქმედს სთხოვა: დრო მიეცა ეკლესიაში სასიარულოდ. ღვთის წყალობა მან უსწრაფესად მიიღო. მეორე დღესვე გამოიძახეს და უთხრეს: დამტარებლად დაგნიშნეთო. დაკისრებულ მოვალეობას მორჩებოდა თუ არა, მაშინვე ტაძარს მიაშურებდა. იქ ისწავლა ხუცური დამწერლობა და ბნელჟამობის დროს სარდაფში გადამალული საეკლესიო წიგნებიც აღმოაჩინა. მღვდელმა ჩუმად აზიარა საკურთხეველში. ოთხშაბათს და პარასკევს მუცელს აიტკივებდა და ხორცს არ ჭამდა. ასე გაატარა მან ჯარისათვის განსაზღვრული დრო ნახევრად ჯარში და ნახევრად ეკლესიაში.

ჯარიდან დაბრუნებულს ოჯახის წევრებმა ცოლის შერთვა დააძალეს; ერთი ლამაზი გოგოც აჩვენეს. მან ქუდიც კი არ მოიხადა, ისე დაჯდა, სიტყვა არ წამოსცდენია, ადგა და გავიდა გარეთ. დაჟინებული თხოვნა ოჯახის წევრებისა რომ აეცდინა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წავიდა, რათა თვითონვე ეთქვათ უარი მის ცოლობაზე. ექიმებს უკვირდათ: აქ ხალხი ძალით მოჰყავთ, ეს კი თავის ფეხით მოვიდაო. თუმცა, იმ უღმერთოების ჟამს, დაიწყო თუ არა ქრისტეს დიდებაზე ქადაგება, მაშინვე დაუსვეს დიაგნოზი: სულიერ ავადმყოფად ჩათვალეს და სახლში მხოლოდ დედის ზედამხედველობის ქვეშ გაუშვეს.

ეკლესია, რომელიც მამა გაბრიელმა

საკუთარი ხელით ააშენა თავის ეზოში

სწორედ ამ დროს დაიწყო თავის ეზოში საკუთარი ხელით ეკლესიის აშენება. იგი ხშირად ამბობდა: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი ვერ იქნება მამა“.

რწმენისაგან დაცლილი იმჟამინდელი ხელისუფალნი ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებს. ამიტომაც ხშირად აწიოკებდნენ ახალი ეკლესიის ამშენებელს და მის დანგრევას აიძულებდნენ.

იყო შემთხვევები, როდესაც მივიდოდნენ, რაღაც ნაწილს ეკლესიისას დაანგრევდნენ, ხოლო მეორე დღეს ჩუმად ფულს სთავაზობდნენ, რაც დავანგრიეთ აღადგინეთო.

ერთხელაც, მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი მივიდა მასთან. მამა გაბრიელს არ გაჭირვებია მათი მიზნის ამოცნობა. არც აცალა ხმის ამოღება ისე უთხრა: „მე არ დავანგრევ და თქვენ თუ შეძლებთ დაანგრიეთ“. შეშინებიათ, წასულან და მუშები მოუყვანიათ. ბერს მათთვის კიდევ უთქვამს: „ბრძანების გამცემი უფრო სცოდავს, ვიდრე შემსრულებელი“. ამჯერად უფრო შეშინებიათ და წასულან.

ასე გადაარჩინა ღვთის შიშმა მისი ეკლესია მთლიანად დანგრევას.

ბერი გაბრიელი ღვთის გზას ბავშვობიდანვე დაადგა, მაგრამ რომ განემტკიცებინა ყოველივე და ოფიციალური მსახური ყოფილიყო დედა ეკლესიისა, 1954 წლის 25 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს გაბრიელს (ჩაჩანიძე) მიმართა:

„გთხოვთ, მიმიღოთ თქვენს საკათედრო ტაძარში მსახურად, რადგან სიყრმიდანვე ჩემს მიზანს ეს შეადგენს“.

მღვდელმსახურმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და 1955 წლის 1 იანვარს ტრაპეზის მომვლელად და დღის მეთვალყურედ აკურთხა.

მანამდე მამა გაბრიელი 2 წლის მანძილზე მოღვაწეობდა სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, რასაც ადასტურებს მის მიერ დაწერილი „უმდაბლესი თხოვნა“.

„სიყრმიდან მტკიცედ მაქვს შთანერგილი ვიყო მსახური ჩვენი წმიდა დედა ეკლესიისა, ამიტომაც უმდაბლესად გთხოვთ ჩემი ულირსების ხელდასხმას თქვენი საკათედრო ტაძრის დიაკონის შტატგარეშე ადგილზე, რადგან გახლავარ მეორე კატეგორიის ინვალიდი. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მისი უწმინდესობის მეთვალყურეობის ქვეშ ორი წელი ვმსახურობდი სიონის საკათედრო ტაძარში წმინდა ტრაპეზის მომვლელად და ტაძრის მეთვალყურედ, ვეხმარებოდი წირვა-ლოცვაში“.

ეს თხოვნა დათარიღებულია 1955 წლის 25 იანვრით.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწერა: „ჩვენება დიაკვნად კურთხევადისა“.

„1955 წლის იანვრის 30 დღესა ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძრის მთავარ-დიაკონის შტატგარეშე ადგილზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკის მიერ დანიშნულმა გოდერძი ვასილის-ძე ურგებაძემ ჩვენების ჩამორთმევისას აჩვენა:

შობიდან ვარ 25 წლისა.

მისწავლია თბილისის 24-ე ვაჟთა სკოლაში 6 კლასი და საღვთო წერილი სიონის საკათედრო ტაძარში.

არა ვარ შეუღლებული არცერთჯერ.

აღსარებით მართლმადიდებელი ვარ და მწვალებლებთან არა მაქვს სარწმუნოებრივი დამოკიდებულება.

რომელიმე მძიმე დანაშაულისათვის საპყრობილეში არა ვმჯდარვარ და საზოგადოდ სასულიერო ხარისხში შესვლის დამაბრკოლებელი საქმე არა მაქვს რა.

დიაკონად კურთხევას ვეძიებ სადიდებლად ღვთისა და ცხოვნებისათვის სულისა, გულწრფელი განზრახვით, რომ ვემსახურო წმიდასა ეკლესიასა, როგორც ბრძანებენ საეკლესიო კანონები და წმიდა მამები.

„ბავშვობიდანვე შთანერგილი მაქვს ღვთისმსახურება და ბერმონაზონობა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ინებოთ ჩემი აღკვეცა მცირე სქემაში და მიბოძოთ სახელი წმიდა გაბრიელ ათონელისა, მორჩილი თქვენი მეუფებისა“.

ეს თხოვნა ეპისკოპოსმა გაბრიელმა შეიწყნარა და მიმართა მაღალ-ღირს არქიმანდრიტ გიორგის, „სქემა უკურთხოს აღსარებითურთ მამა გოდერძის და თანახმად მისი სურვილისა ეწოდოს წმინდა ღირს მამა გაბრიელ ათონელის სახელი“.

1955 წლის 27 თებერვალს მოწამეთას მონასტერში, ყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსის გაბრიელის ხელდასხმით და არქიმანდრიტ გიორგის (დადიანი, რომელიც მოკლეს 1964 წელს, შიომღვიმის მონასტერში და დაკრძალულია სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში) მონაწილეობით მოხდა ბერმონაზვნად აღკვეცა გოდერძი ურგებაძისა, ეწოდა სახელი გაბრიელი, თანახმად მისი სურვილისა.

აღკვეციდან რამდენიმე დღეში მღვდელმთავარ გაბრიელის კურთხევით გაიცა ბრძანება:

„მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (გ. ურგებაძე) დაინიშნოს სათანადო მომზადების შემდეგ მეორე მღვდლის ადგილზე, ამჟამად თავისი ხელფასით. ვანდობ კანდელაკს დეკანოზ ნიკოლოზ ბერეკაშვილს და ა. ბალანჩივაძეს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება და ხელმძღვანელობა დროულად მომზადებაში, რათა ამთავითვე შეაჩვიონ მღვდელმოქმედებას თანდათანობით“.

ყოველივე ეს 1955 წლის 17 მარტს ეუწყა მის უწმინდესობას მელქისედეკს.

# სპორტი

## ძიუდო

## ვეტერანები
### მსოფლიო ჩემპიონი

**ვეტერან** ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს გუნდმა 3 ოქროს , 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 100 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ***უდაბნოელი*** **დავით (დევიკო) გოგეჯიშვილი.**



## საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი



**2012-2013** წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატში – 2024, 4, 34 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა **ლუკა კურდღელაშვილმა.**

## მკლავჭიდი

**ა(ა)იპ** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ***(დირექტორი*** **მამუკა კურდღელაშვილი)** – მკლავჭიდის სექციის (მწვრთნელი-მასწავლებელი **მამუკა ბილანიშვილი)** სპორტსმენმა **ნუგზარ ჭიკაძემ** 2 ნოემბერს თურქეთში ისტანბულში გამართულ მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატში მსოფლიოს ჩემპიონი თურქი ოჟუჯან ქოჩაკი უმარტივესი წესით დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა.



აღნიშნულ ჩემპიონატში East vs West 15 მონაწილეობდა 5 ქართველი მკლავჭიდელი: ნუგზარ ჭიკაძე, ბეთქილ ონიანი, ირაკლი ზირაქაშვილი, გენადი კვიკვინია და დავით სამუშია.

***15-16-17 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდება მკლავჭიდში ტრადიციული ტურნირი სახელწოდებით „აჭარის თასი“, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მკლავჭიდის სექციის მკლავჭიდელებიც.***

***წარმატებები ვუსურვოთ მათ.***

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**დასრულდა** ახმეტაში რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის (მწვრთენელიი თამაზ ყიფიანი), დაიკავეს 4 პირველი ადგილი 2 მეორე და ერთი მესამე.



## მხატვრული ტანვარჯიში

**9-10 ნოემბერს** სომხეთის ქ. გიუმრში ჩატარდა ღია პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში- “FRENDSHIP-2024”.

შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა სომხეთის, თბილისის, საგარეჯოს და თელავის გუნდები, ჯამში 300-მდე სპორტსმენი, სადაც წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ჩვენს ა(ა) იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მხატვრული ტანვარჯიშის სექციის (მწვრთნელი-პედაგოგი მედეა ვეკუა) გოგონებს:

ნანიტა გრატიაშვილი – Iადგილი;
ქეთევან კურდღელაშვილი-III ადგილი
დალი კურდღელაშვილი- IV ადგილი
მარიამ ელიზარაშვილი -I ადგილი
მარიამ წიკლაური -I ადგილი
თამუნა ბეჟიაშვილი -I ადგილი
ლიზი მეკოკიშვილი -I ადგილი.





## ევროპის თასის ვიცე-ჩემპიონი

**ა(ა)იპ** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მოჭიდავე **ვახო ჭიაბერაშვილი** (-60კგ) ჭაბუკთა შორის უნგრეთის ევროპის თასის ვიცე-ჩემპიონია.



## ფეხბურთი
### „გარეჯი-1960“ ლიდერობას ინარჩუნებს

**ფინიშისკენ** მიდის საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში,როგორც პირველ,ისე მეორე ლიგაში. გარეჯელ ფეხბურთისმოყვარულთა ინტერესი უფრო მეტად მეორე ლიგისაკენაა მიპყრობილი, სადაც ასპარეზობს „გარეჯი-1960“ (***დირექტორი*:** **ლაზარე დათუნაშვილი**, ***მთავარი მწვრთნელი*** **თენგიზ კობიაშვილი).**

როგორც უკვე ჩვენი გაზეთის წინა ნომრების საშუალებით გაცნობეთ, ამ საფეხბურთო სეზონში, „გარეჯმა“ ლიდერად გახდომა სეზონის ბოლოსკენ შეძლო. 30-ე ტურის შეხვედრაში კი საკუთარ მოედანზე მიიღო თბილისის „ვიტ-ჯორჯია“.

ანგარიში მატჩის მე-13 წუთზე **ლევან პაპავამ** გახსნა, თუმცა თბილისელებმა პირველივე ტაიმში – 31 წუთზე გაათანაბრეს. 59-ე წუთზე „გარეჯი“ კვლავ დაწინაურდა. ეს **ბაქარ მირცხულავამ** გააკეთა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო ამ შედეგის შენარჩუნება – მე-80 წუთზე გაუშვეს გოლი და მატჩი ფრედ დასრულდა.

ვერც შემდეგ – 31-ე ტურის მატჩში შეძლეს გარეჯელებმა გამარჯვება, თუმცა არც დამარცხებულან მათი მეტოქე – თბილისის „დინამო-2“ იყო. შეხვედრა მეტოქის მოედანზე გაიმართა და მათი უპირატესობით დაიწყო. მათ დასაწყისშივე შეძლეს დაწინაურება და შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე ტაიმი უკვე გარეჯელთა უპირატესობით წარიმართა და 59-ე წუთზე **ბაქარ მირცხულავამ** შეძლო ანგარიშის შემცირება. ძირითადი დრო ასეც დასრულდა, მაგრამ დამატებულ წუთებში **ლევან პაპავამ** შეძლო მეორე გოლის გატანა და ანგარიშის გათანაბრება.

მართალია „გარეჯი“ ამ ორ მატჩში არ დამარცხებულა, მაგრამ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და რუსთავის „რუსთავმა“ შეძლო დაწევა. ამდენად, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეჯოში გამართულ მატჩს „შტურმთან“. გარეჯმა შესანიშნავად ჩაატარა ეს მატჩი და მეტოქე 5:1 გაანადგურა. გოლები გარეჯელთაგან **ლევან პაპავამ, კახაბერ კაკაშვილმა, ჯაბა კასრელაშვილმა, მუსა სამასამ, და ნუგზარ სკანდერაშვილმა** გაიტანეს.

ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე 59 ქულით „გარეჯი-1960“ კვლავ პირველ ადგილზეა, თუმცა ამდენივე ქულა აქვს რუსთავის „რუსთავს“. შემდეგ მატჩს „გარეჯი“ გასვლაზე მესამე ადგილზე მყოფ ბოლნისის „სიონთან“ გამართავს. 34-ე ტურში კი საკუთარ მოედანზე მიიღებს მთავარ მეტოქეს რუსთავის „რუსთავს“. თუ გარეჯელები ამ ორივე მატჩის მოგებას შეძლებენ, ფაქტობრივად გადაწყვეტენ პირველი ადგილის ბედს და პირველ ლიგაში გადასვლას გაინაღდებენ.

*ზურაბ აბულაშვილი*

# ინფრასტრუქტურა-2024 მიმდინარე პროექტები

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი გილაშვილმა,** საკრებულოს დეპუტატთან-**ივანე ბეჟიაშვილთან** ერთად, სოფელ გიორგიწმინდაში, თოხლიაურსა და ქვემო სამგორში მიმდინარე პროექტები მოინახულა.

*მარი აზარიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრესსპიკერი***



# შემოდგომის ზეიმი პატარებთან



**ძალაში** შევიდა შემოდგომა. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" (დირექტორი **ნაილი ალექსაშვილი**) ყველა დაწესებულებაში აღმზრდელთა და მშობელთა დიდი ენთუზიაზმით, აღსაზრდელთა საოცარი ინტერესით ჩატარდა შემოდგომის ზეიმი, სადაც პატარებმა მშობლების გარდა, სხვა სტუმრებიც მიიწვიეს, თვალს და გულს ახ-



არებდა ეზოს სივრცეში წარმოდგენილი შემოდგომის ნობათი, ქართული, ეროვნული აქსესუარები...

აღსაზრდელები დამსწრე საზოგადოების წინაშე იმ ლექსებით, სიმღერებითა და ცეკვებით წარდგნენ, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში პედაგოგ-აღმზრდელებთან ერთად მოამზადეს. პატარებმა თავიანთი ხელით ძაფზე ასხმული ნიგოზი იქვე მოდუღებულ თათარაში გაავლეს და ჩურჩხელები გასაშრობად გაფინეს. ამ პროცესში და ცეკვებში ბავშვებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმულები აღსაზრდელთა დედები. სწორედ აქ დავრწმუნდით, რომ მშობელთა ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისათვის. ამ დროს ბავშვი მეტად თავდაჯერებული და მოტივირებულიცაა.

მართლაც, შემოდგომის თემატიკით დატვირთულ აქტივობებში ერთობლივი მონაწილეობა აღსაზრდელებისათვის და მშობლებისთვის სასიამოვნო და მეტად სახალისო იყო.



# მადლიერების მისამართები
## როცა ასეთი მზრუნველობა და ყურადღებიანობაა



**უკანასკნელ** პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების, ეზოების რეაბილიტაცია – მოწესრიგებას – ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარების აღზრდის სამსახურში სულ ახლახანს ჩადგა კაკაბეთის №1 იორმუღანლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ახალი შენობები, განახლდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღის 30-დან თითქმის ყველა შენობას. შენდება საგარეჯოს №6 (ახალი) და ლამბალოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (პირველად) შენობები. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მენეჯერები, პედაგოგები და პერსონალი, ყოველდღიურად მოწმე ვხდებით იმ სიკეთეებისა, რასაც თითოეული დაწესებულება, იგი მიმდინარეობს აღსაზრდელთათვის ნორმალური აღზრდა-განვითარების – სწავლების პროცესების დასახვეწად. ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე, წინა დღეებში, მუნიციპალიტეტის ყველა დაწესებულებაში ამოიცვალა, შეიცვალა სამზარეულოსათვის განკუთვნილი ინვენტარი, ჭურჭელი. ამ სამიოდე კვირის წინ ყველა დაწესებულებაში შემოვიდა ახალი სათამაშოები, რომლებმაც მხოლოდ ჩვენი აღსაზრდელები როდი გაახარა. ეს სიხარული აღსაზრდელთა ოჯახებმა, მთელმა მოსახლეობამ გაიზიარა. მოწესრიგდა, ახალი სათამაშოებით აღიჭურვა დაწესებულებათა ეზოები... და რაც მთავარია, ახალი სასწავლო წლისათვის მოხდა დაწესებულების პედაგოგთა გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რაც აუცილებლად დაეტყობა აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდის საქმეს. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბავშვო ბაღების პროდუქტებით მომარაგების საკითხს, – პროდუქტების ხარისხს ვარგისიანობას და დისტრიბუტორებისაგან მომარაგების ვადებს.

და ყოველივე ამ სიკეთეების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ***ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი*** ქ-ნი **ნაილი ალექსაშვილია**, რომელიც მართლაც საოცარი ენთუზიაზმით იღწვის გაერთიანების დაწესებულებათა ყოველდღიური წარმატებული საქმიანობისთვის. თავად, ჩვენი აღსაზრდელების გასახარად გვესტუმრა დაწესებულებაში და საკუთარი ხელით გადასცა აღსაზრდელებს სათამაშოები, თავადაც მოწმე გახდა იმ სიხარულისა და აღმაფრენისა, რაც თითოეული ჩვენი აღსაზრდელის სახეზე გამოიხატა.

დიახ, ასეთია ქ-ნი ნაილი, რომელსაც მხოლოდ ჩვენი დაწესებულებების მზრუნველობასა და ფიქრში გართულს ვერ ნახავთ. მის ბუნებაშია ის, რომ მას შეუძლია გაიზიაროს სულაც უცხო ადამიანის ტკივილი, შეეშველოს შესაძლებლობის ფარგლებში, უთანაგრძნოს და სიხარულიც მიანიჭოს. ვფიქრობთ, ეს ნიჭი უფლისგანაა მისთვის ბოძებული, რაც მის ისედაც სასიამოვნო გარეგნობას უფრო მიმზიდველს ხდის და მის მდიდარ სულიერ სამყაროშიც გვახედებს.

და გვინდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთის მკითხველის წინაშე მადლობა გადავუხადოთ ქ-ნ **ნაილი ალექსაშვილს** იმ სიკეთეებისა და მზრუნველობისათვის, რასაც ჩვენი აღსაზრდელებისათვის მართლაც სანაქებო და და საამაყო პირობების შექმნისათვის, სრულიად ახალი სამყაროს გასაცნობად აკეთებს. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ , რომ სოფლების სააღმზრდელო კერას უბრუნდება უამრავი აღსაზრდელი – მშობელი აღარ ეძებს მისი შვილისთვის საუკეთესო პირობებს სხვაგან, აქ, ამავე სოფელში, ამავე საცხოვრებელ ადგილზეა საუკეთესოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღი.

მადლობა ქ-ნ ნაილის ამ მზრუნველობისთვის. გვინდა ვუსურვოთ წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში, პირადი ბედნიერება საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ **ავთანდილ გულიკაშვილს** ასეთი თანადგომისა და მზრუნველობისათვის, ქ-ნი ნაილის გვერდში აქტიურად დგომისათვის და მისგან მიწოდებულ ყოველ ინფორმაციაზე მყისიერად რეაგირებისათვის – ჩვენი აღსაზრდელებისათვის მართლაც სანაქებო სააღმზრდელო პირობების შექმნისათვის.

***პატივისცემით:***

*ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების"*
*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მენეჯერები*



რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com